თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

№2

ქ. ქუთაისი 16 ივლისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურო წინადადებების განხილვის შესახებ (საკონკურსო განცხადების №582. 11.07.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 2 (ორი) კონკურსანტმა: 1. შ.პ.ს „კომუნპროექტი"-მ და 2. შ.პ.ს ,,კომუნმშენპროექტი-2006"-მა.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტების თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შ.პ.ს „კომუნპროექტი" – 16000 (თექვსმეტიათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.
2. შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი-2006" – 17500 (ჩვიდმეტიათას-ხუთასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 16 ივლისის 12:30 საათამდე პერიოდი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები.

შ.პ.ს „კომუნპროექტი"-ს და შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი-2006"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

1. შ.პ.ს „კომუნპროექტი"-მ - მიიღო 30,9 ქულა.
2. შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი-2006"-მა - მიიღო 26,3 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა, კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,კომუნპროექტი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ~~კოტე რატიანი~~

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი